



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 390

25 აგვისტო
“ --- ” ----- 2023 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №49, №49-ა; №49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.178; №01.14.07.008.180; №01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს №23.1221.1354 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №49, №49-ა; №49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.178; №01.14.07.008.180; №01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01232081672-67 (№01232222930-67; №01232231424-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. განაშენიანების რეგულირების გეგმა მტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში;

3. გათვალისწინებულ იქნას სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 4 აგვისტოს IDP 7 23 00823231 წერილით გათვალისწინებული პირობები, №01.14.07.008.178 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით.


4. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.1221.1354
15 / აგვისტო / 2023 წ.

ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49-ა; N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.178; N01.14.07.008.180; N01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 27 ივლისს N01232081672-67 (N01232222930-67; N01232231424-67) განცხადებით მიმართა ნომრევან ნამორაძემ (პ/ნ 01018000728) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49-ა; N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.178; N01.14.07.008.180; N01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49-ა; N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.178; N01.14.07.008.180; N01.14.07.008.182). საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობია 18 664 კვ.მ. დღეის მდგომარეობით, ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირებით კი ტერიტორია მდებარეობს შუალედურ ზონაში (შზ) და გეგმარებით კარკასში (გკ).

საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N314 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

ამასთან, ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - „გამარჯვების პარკის“ ინდივიდუალური დამცავი ზონის ვიზუალური დაცვის არეალში, საპროექტო ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე, საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მაისის N60-01231492351 წერილის თანახმად, საბჭოს (ოქმი N19 25.05.2023წ.) გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.



შემოთავაზებული საპროექტო წინადადება ითვალისწინებს საპროექტო ნაკვეთზე არსებული ამორტიზებული შენობების დემონტაჟს და მის ნაცვლად, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სპორტის უნივერსიტეტის აშენებას (შენობა N1), ხოლო, სამხრეთ ნაწილში - მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსებას (შენობა N2, 3, 4). შესაბამისად, მთელ საპროექტო ტერიტორიაზე მოთხოვნილი ფუნქციური ზონაა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) შემდეგი კოეფიციენტებით: კ-1=0.5, კ-2=4.6, კ-3=0.3.

N01.14.07.008.180 საკადასტრო ერთეულის გასხვისება განხორციელდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ვი არ ვაკე თაუერსი“-ს შორის გაფორმებული 2022 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით (ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 30/12/2022, განცხადების რეგისტრაციის ნომერი- 892022018554-30/12/2022), მათ შორის, ხელშეკრულების 3.1.6 პუნქტით - „ხელშეკრულების“ N4 დანართით გათვალისწინებული ფართიდან არანაკლებ 7200 კვ.მ მიწის ნაკვეთი შესაბამისი შენობა-ნაგებობებთან ერთად უნდა დარეგისტრირდეს სახელმწიფო საკუთრებად, რასთან დაკავშირებითაც, ხელშეკრულების 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროექტით იგეგმება შენობა N1-ის (უნივერსიტეტის შენობა) აშენება. ასევე, წარმოდგენილი წინადადება ითვალისწინებს ხელშეკრულების 5.1.2-ის ა,ბ,გ ქვეპუნქტებსაც, თუმცა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზეც სრულად უნდა მოხდეს აღნიშნული ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების გათვალისწინება.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ფუნქციების შემდეგი სახით გადანაწილება: საზოგადოებრივი- 44.09 %; საცხოვრებელი - 55.91%.

საპროექტო ფუნქციები გადანაწილდება შემდეგი პროპორციით:

- 1.უნივერსიტეტი - 9500 კვ.მ. (შენობა N1)
- 2.მიწისქვეშა ავტოსადგომები უნივერსიტეტისთვის - 1000 კვ.მ. (შენობა N1);
- 3.ცალკე მდგომი საოფისე შენობა - 500 კვ.მ. (შენობა N2);
- 4.მიწისქვეშა ავტოსადგომები მრავალფუნქციური შენობისთვის - 13000 კვ.მ. (შენობა N3, 4);
- 5.კომერციული - 21450 კვ.მ. (შენობა N3, 4);
- 6.საცხოვრებელი - 48000 კვ.მ. (შენობა N3);
- 7.სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საზოგადოებრივი კვების - 6400 კვ.მ. (შენობა N3);

ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი 18 664 კვ.მ.

საპროექტო მიწის ნაკვეთის რაოდენობა - 1

შენობა-ნაგებობის რაოდენობა - 4:

სპორტის უნივერსიტეტი (შენობა N1)

სპორტის უნივერსიტეტი- 11.07% 9,500კვ.მ.

სპორტის უნივერსიტეტის მიწისქვეშა ავტოსადგომი -1000კვ.მ. 20 ცალი მანქანა

ღია ჩოგურთის მოედანი - 650 კვ.მ.

ღია სპორტული მოედანი - 660 კვ.მ.

ცალკე მდგომი საოფისე შენობა (შენობა N2)

ცალკე მდგომი საოფისე შენობა - 0.58% 500 კვ.მ.

მრავალფუნქციური შენობა (შენობა N3,4)

დახურული ავტოსადგომი - 13000 კვ.მ. 345 ცალი მანქანა;

კომერციული (მრავალფუნქციური) ფართი- 24.98% 21450 კვ.მ.

საცხოვრებელი ფართი -55.91% 48000კვ.მ.;

რესტორანი, ფიტნესი, აუზი- 7.46% 6400კვ.მ.;

შენობა-ნაგებობების სიმაღლე და სართულიანობა:

შენობა N1: 25 მეტრი, 4 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართული;

შენობა N2: 16 მეტრი, 4 მიწისზედა სართული;

შენობა N3: 180 მეტრი, 47 მიწისზედა და 3 მიწისქვეშა სართული;

შენობა N4: 30 მეტრი, 6 მიწისზედა და 3 მიწისქვეშა სართული;

არსებული ფუნქციური ზონირება: სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური).

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) - 18664 კვ.მ;

ჯამური კოეფიციენტები:

კ-1 - 0.5 (9332 კვ.მ);

კ-2 - 4. 6 (85 854 კვ.მ);

კ-3 - 0.3 (5599 კვ.მ);

საპროექტო შენობებისათვის დადგენილი სავალდებულო ავტოსადგომები სრულად მოეწყობა მიწის ქვეშ.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით N2 და N3-ძირითადი შენობისთვის სიმაღლის განსაზღვრა ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გვემარბითი დავალების მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული N01.14.10.002.070 საკადასტრო ერთეულიდან (ლოკომოტივის სტადიონიდან).

საპროექტო წინადადებით დადგენილია განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზები და შენობათა განთავსების არეალები. ნაკვეთებზე გათვალისწინებულია საპროექტო საინჟინრო ქსელების შეზღუდვები და წარმოდგენილია ყველა არსებული კომუნიკაციის და ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრეთა შესაბამისი თანხმობები.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით ტერიტორია უზრუნველყოფილი იქნება ყველა აუცილებელი საინჟინრო ქსელებით და კომუნიკაციებით, რომელიც დადასტურებულია პროექტში წარმოდგენილი შესაბამისი უწყებების წერილებით.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრულია საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის -1061.5 კვ.მ-ის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას,

საპროექტო შენობებისათვის დადგენილი სავალდებულო ავტოსადგომები სრულად მოეწყობა მიწის ქვეშ.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით N2 და N3-ძირითადი შენობისთვის სიმაღლის განსაზღვრა ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული N01.14.10.002.070 საკადასტრო ერთეულიდან (ლოკომოტივის სტადიონიდან).

საპროექტო წინადადებით დადგენილია განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზები და შენობათა განთავსების არეალები. ნაკვეთებზე გათვალისწინებულია საპროექტო საინჟინრო ქსელების შეზღუდვები და წარმოდგენილია ყველა არსებული კომუნიკაციის და ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრეთა შესაბამისი თანხმობები.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით ტერიტორია უზრუნველყოფილი იქნება ყველა აუცილებელი საინჟინრო ქსელებით და კომუნიკაციებით, რომელიც დადასტურებულია პროექტში წარმოდგენილი შესაბამისი უწყებების წერილებით.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრულია საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის -1061.5 კვ.მ-ის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას,

დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუწეონ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ლამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს N01232232242 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 14 აგვისტოს N01232261899 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 3 აგვისტოს N16-0123215935 და 11 აგვისტოს N16-01232232594 წერილებით, ტერიტორიის წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით განვითარებასთან დაკავშირებით, საკითხი პოზიციის დასაფიქსირებლად გადაგზავნილ იქნა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

N01.14.07.008.178 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 4 აგვისტოს IDP 7 23 00823231 წერილით გათვალისწინებული პირობები.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49-ა; N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.178; N01.14.07.008.180; N01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01232081672-67((N01232222930-67; N01232231424-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49-ა; N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.178; N01.14.07.008.180; N01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარგასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართობი 4%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 1061.5 კვ.მ-ს.

4. გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხვა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

5. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება მისი შემცირების მიზნით, დაუშვებელია. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართობის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

6. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

8. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია არქიტექტურის სამსახური



წერილის ნომერი: 60-01231492351
თარიღი: 29/05/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და

ურბანული განვითარების სააგენტოს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 17 მაისის N16-01231372639 (17-01231372669-60 17.05.2023) წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირ N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.178, 01.14.07.008.180, 01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს განონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N19 25.05.2023წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირ N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.178, 01.14.07.008.180, 01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.


პატივისცემით,

დიანა გუგუშაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახური-ძველი თბილისის სანებართვო განყოფილება-
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(განყოფილების უფროსი) (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





თბილისის არქიტექტურა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №6465352

განაცხადი №AR1966958

თარიღი : 17.05.2023



განმცხადებელი: თეა უგულავა პ/ნ: 62001014950

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N49-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გამზირი ჭავჭავაძე, N 49, (ნაკვ. 08/036); ქალაქი თბილისი, გამზირი ი.ჭავჭავაძე, N 49; ქალაქი თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N 49ა, (ნაკვეთი 08/028); ქალაქი თბილისი, გამზირი ჭავჭავაძე, N 49, (ნაკვ. 08/035); ქალაქი თბილისი, გამზირი ი.ჭავჭავაძე, N 49;

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- ადმინისტრაციული საკითხები

კომისიის წევრი: უარყოფა

• -

კომისიის წევრი: უარყოფა

• -

კომისიის წევრი: თანხმობა

• -

კომისიის წევრი: თანხმობა

• -

კომისიის წევრი: თანხმობა

• -

კომისიის წევრი: თანხმობა

• -
კომისიის წევრი: თანხმობა

• სასურველია პროექტირების შემდგომ ეტაპზე გათვალისწინებული იქნას სახელოვნებათმცოდნეო კვლევის რეკომენდაციები.

კომისიის წევრი: თანხმობა

• -

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 25.05.2023

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

ოქმი N19

მიეცეს დადებითი შეფასება ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირ N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.178, 01.14.07.008.180, 01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01232232242
თარიღი: 11/08/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 11 აგვისტოს №01232231424-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.07.008.178; 01.14.07.008.180; 01.14.07.008.182) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებით, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 39 ძირი (ს/კ: 01.14.07.008.180 - №68, 114-115, 118-119, 121, 123, 125-129, 131-138, 142-149, 151, 153, 156, 173, 182-188) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მოსაჭრელი მწვანე ნარგავის რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებით, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას ერთი ძირი (ს/კ:01.14.07.008.180 - №152) ზეხმელი ცრუაკაცია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებით, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 35 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული 35 ძირი (ს/კ:01.14.07.008.180 - №7; 21; 35; 38; 39; 40; 42; 43; 54; 61; 67; 69; 71; 107; 109; 110; 150; 154;157; 172; 174; 176; 180; 181; 189; 190; 191; 192; 193; 194; 195; 208; 209; 210; 226) მწვანე ნარგავი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ასევე გაცნობებით, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 18 ძირი (ს/კ:01.14.07.008.180 - №6; 34; 36; 37;57; 59; 60; 63; 64; 130; 141; 155; 175; 177; 178; 179; 196; 197) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის

მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (**არსებული/გადასარგავი**: 158 ძირი და **საპროექტოდ დასარგავი**: 21 ძირი იტალიური ფიჭვი; 21 ჰიმალაის კედარი; 21 ძირი უნგრული ცაცხვი; 21 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; 21 ძირი ქვამუხა; 21 ძირი არყის ხე; 21 ძირი ამბრის ხე; 27 ძირი წითელი ტყემალი; 27 ძირი არღავანი, იუდას ხე; 27 ძირი არიზონას კვიპაროსი; 21 ძირი ორნაკვეთიანი გინკგო; 50 ძირი კავკასიური წყავი, ბურთის ფორმის და 50 ძირი ფოტინია რედრობინი; ჯამში - 507 ერთეული) სრულად ითვსება საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (5599 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება საზოგადოებრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწეობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01232261899
თარიღი: 14/08/2023

2023 წლის 11 აგვისტოს N 01232231424-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N49-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.07.008.178, 01.14.07.008.180, 01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გვემარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2023 წლის 15 მაისის N 01231353834-67 განცხადების პასუხად N 01231503391 წერილით.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





**სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო**

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ: 1420
info@nasp.gov.ge

11 / აგვისტო / 2023 წ.



KA021788628919523

№ 6/43749

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ
თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი 2023 წლის 3 აგვისტოს N16-0123215935 (სააგენტოში რეგისტრაციის N105558/04) წერილის პასუხად, გიგზავნით სააგენტოსა და შპს „ვი არ ვაკე თაუერსს“ (ს/ნ: 404649010) (შემდგომში - კომპანია) შორის, 2022 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომელშიც ასახულია, კომპანიის მიერ ნაკისრი, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის N49-ში (ნაკვ. 08/036) მდებარე 18019 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1-N16 შენობა-ნაგებობების (ს/კ: 01.14.07.008.180) საპრივატიზებო ვალდებულებები. აქვე განვიმარტავთ, რომ ზემოხსენებული უძრავი ქონების მომიჯნავედ არსებული N01.14.07.008.178 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა წარმოადგენს საპრივატიზებო ობიექტს და სააგენტოს მიერ, განიხილება მისი სამომავლოდ პრივატიზების საკითხი. ამასთან, გიგზავნით N01.14.07.008.178 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების თაობაზე, სააგენტოში წარმოდგენილ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 4 აგვისტოს IDP 7 23 00823231 (სააგენტოში რეგისტრაციის N105945/04) წერილს.

დანართი: 2 ელ. ფაილი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერა/
შტამპდასმულია
ელექტრონულად




გიორგი დუგლაძე



**სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა
და საარსებო წყაროებით
უზრუნველყოფის სააგენტო**

04 აგვისტო 2023

15 ა მიხეილ თამარაშვილის ქუჩა
0177 თბილისი, საქართველო
1505
info@idp.gov.ge



IDP 7 23 00823231

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

პირდაპირი მიყიდვისა და სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის განკარგვის სამსახურის უფროსს

ქალბატონ ნინო სხირტლაძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2023 წლის 11 ივლისის №KA021741742233623 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის ცალკეულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №118 განკარგულების საფუძველზე, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული დევნილი ოჯახების გრძელვადიან განსახლებას. კერძოდ: 23 დევნილი ოჯახიდან, დღეისათვის, მათ მიერ წარმოდგენილი უძრავი ქონების შესყიდვის გზით დაკმაყოფილდა 12 დევნილი ოჯახი. აღნიშნული პროცესი კვლავაც მიმდინარეობს და სააგენტო მზადაა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები დასაკმაყოფილებელი დევნილი ოჯახების მიერ შესაბამისი უძრავი ქონებების წარმოდგენის შემთხვევაში, ვინაიდან, სააგენტოს გასანაწილებელი საბინაო რესურსი შეექმნება 2025 წლისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო შესაძლებლად მიიჩნევს №01.14.07.008.178 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პრივატიზების განხორციელებას, იმ პირობით, რომ არ მოხდება ობიექტის გამოთავისუფლება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №118 განკარგულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კერძოდ: დევნილი ოჯახების მიერ წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართების შესყიდვის ან 2025 წლისათვის სააგენტოს მიერ საბინაო რესურსის შექმნის საფუძველზე გრძელვადიან განსახლებამდე.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე
ლევან დოლიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

30 დეკემბერი, 2022 წ.

ერთი მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდეგში, „გამყიდველი“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული მრჩეველის ნინო შათირიშვილის (პ/ნ 20001062904) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2022 წლის 12 იანვარს გაცემული №4/908 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, შპს „ვი არ ვაკე თაურსი“ (ს/კ 404649010) (შემდეგში, „მყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ალექსანდრე ნამორაძის (პ/ნ 01036001755) სახით, მოქმედი 2022 წლის 25 ნოემბერს დირექტორის ნომრევან ნამორაძის (პ/ნ 01018000728) მიერ გაცემული (მინდობილობის საანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №221613746/№97389561505322) მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

შემდგომში, „გამყიდველი“ და „მყიდველი“ ინდივიდუალურად მოიხსენიება როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების, „ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №49-ში (ნაკვ. 08/036); ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის №49-ში; ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №49ა-ში (ნაკვეთი 08/028); ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №49-ში (ნაკვ. 08/035) მდებარე 18019 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1-№16 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 24 ნოემბრის №1/1-6928 ბრძანებისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2022 წლის 8 დეკემბერს გამართულ №3158 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დადასტურების (№2022112476573) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. დეფინიციები

ბრძანება - „ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №49-ში (ნაკვ. 08/036); ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის №49-ში; ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №49ა-ში (ნაკვეთი



08/028); ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №49-ში (ნაკვ. 08/035) მდებარე 18019 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1-№16 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 24 ნოემბრის №1/1-6928 ბრძანება.

ელექტრონული აუქციონის დასრულების თარიღი - 2022 წლის 8 დეკემბერი, როდესაც „მყიდველმა“ გაიმარჯვა „ბრძანების“ საფუძველზე გამოცხადებულ №3158 ელექტრონულ აუქციონში.

